გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 9
(11 363)

1 – 3 თებერვალი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ნაკრები კვიპროსზე, კლუბები – სპორტის სასახლეში

იმედი კვიპროსიდან იწყება

გუშინ, საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრები კვიპროსს გაემგზავრა. სადაც, მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ ტურნირში. ეს შეკრება, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მომზადების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ჩვენი გუნდი, ცნობილია, ძალზედ იშვიათად ახერხებს ამხანაგური შეხვედრების გამართვას, რაც შემდეგ უარყოფითად მოქმედებს მის საერთო შედეგებზე.

კვიპროსზე გამგზავრების წინ ეროვნული ნაკრების წევრებმა, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ერთმანეთში ითამაშეს.

კვიპროსზე გამგზავრებამდე ნაკრებმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გენერალური რეპეტიცია გაიარა. მწვრთნელებმა კანდიდატები ორ ნაწილად გაყვეს და ერთმანეთს გააჯიბრეს. თამაში დაძაბული გამოდგა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, საბოლოო შემადგენლობა სწორედ მათი რიგებიდან უნდა შერჩეულიყო.

ახალი მწვრთნელების მოსვლამ გუნდში კონკურენცია გაზარდა. იქნებ ამიტომაც მათ გაუჭირდათ საბოლოო შემადგენლობის დასახელება. თუმცა, იმ დღის საღამოს რევაზ ძოძუაშვილმა გამოაქვეყნა რჩეულების გვარები:

მეკარეები: დავით გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოსო გრიშიკაშვილი (დინამო, თბილისი).

მცველები: გელა შეყილაძე (ლირსი, ბელგია), ლევან სილაგაძე (ალანია, რუსეთი), გიორგი ჩიხრაძე (ლოკომოტივი), ვახტანგ ხვადაგიანი (ტორპედო), რევაზ ქემოკლიძე (დინამო).

ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე (დინამო), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), თენგიზ სიჭინავა (დინამო), გივი კვარაცხელია (დინამო), ზურაბ იონანიძე (ტორპედო).

თავდამსხმელები: თემურ ქეცბაია (ნიუკასლი, ინგლისი), ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი, რუსეთი), არჩილ არველაძე (ბრედა, ჰოლანდია), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი, შვეიცარია), დავით ჩალაძე (სკონტო, ლატვია).

ლეგიონერები გუნდს კვიპროსში შეუერთდებიან. დიდი დანაკლისი იქნება გიორგი ქინქლაძე და გოგა გახოკიძე, რომლებიც კლუბებმა ამ ტურნირზე არ გამოუშვეს. პირველ მატჩში „შინდისფრები“ სლოვაკეთს შეხვდებიან. გამარჯვების შემთხვევაში კი რუმინეთ-ლატვიის წყვილში გამარჯვებულს დაუპირისპირდებიან.

პაატა პაპუაშვილი


მესხის ტურნირი დღეს იწყება!

შარშანდელის მიწურულში ჩატარებული „ბენდელას თასის“ შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე კიდევ დიდი ფანჯარაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც გუნდების „დასაქმება“ განიზრახა და მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში მინი-ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის 10 გუნდი ჩართო: მათ დაემატათ საქართველოს 16 წლამდელთა და მოყვარულთა ნაკრებები. ტურნირი სულ სამ დღეს გასტანს და სპორტის სასახლეში ჩატარდება. გთავაზობთ განრიგს:

I ჯგუფი
დინამო (თბ)
არსენალი
კოლხეთი (ხობი)

II ჯგუფი
სიონი
თბილისი
16 წლ. ნაკრები

III ჯგუფი
დილა
მერანი-91
სამგურალი

IV ჯგუფი
იბერია
გორდა
მოყვარულები

1 თებერვალი
11.00 არსენალი – კოლხეთი
12.00 გორდა – მოყვარულები
13.00 მერანი – სამგურალი
15.00 თბილისი – 16 წლ. ნაკრები
16.00 იბერია – გორდა
17.00 დინამო – არსენალი

2 თებერვალი
11.00 სიონი – თბილისი
12.00 დილა – მერანი
13.00 კოლხეთი – დინამო
15.00 მოყვარულები – იბერია
16.00 16 წლ. ნაკრები – სიონი
17.00 სამგურალი – დილა

3 თებერვალი
13.00 ნახევარფინალები
16.00 ფინალი

„მესხი — ორმოცდაათი მილიონი“ 3

კალათბურთი • შინ და გარეთ

„მაკაბიმ“ ისრაელიდან კარგი ამბავი ჩამოგვიტანა

„დინამო“ პრინციპულობის პირველი მსხვერპლი

თბილისის „მაკაბი“, ვაუთა ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ, როგორც ადრე ვიუწყებოდით, ისრაელში გაემგზავრა ოთხი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში ახლა მკაცრი ზამთარია და ქალაქებს შორის დიდთოვლობის გამო გადაადგილება გაძნელებულია, თბილისელმა სტუმრებმა მხოლოდ ორი მატჩი გამართეს, რომელთაგან ერთი მოიგეს და ერთიც მინიმალური ანგარიშით დათმეს. ორივე გუნდი ისრაელის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს. პირველი მეტოქე იყო აპოლის საკლუბო გუნდი, რომელთანაც შეხვედრა ჩვენებმა 6 ქულის სხვაობით დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 75:69. მეორე მატჩში რამლეს „მაკაბთან“ თბილისელები დამარცხდნენ — 92:95. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის პირველ ნახევარს სტუმრები იგებდნენ. ორივე მატჩმა, როგორც შინ დაბრუნებულებმა განაცხადეს, დიდი ინტერესი გამოიწვია და თამაშებს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა. ჩვენი მაკაბელები მიიჩნევენ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ბათუმის „ბასკოსთან“ მათი კალენდარული შეხვედრის წინ ისრაელში მოგზაურობა და იქ გამართული თამაშები სასიკეთოდ წაადგებათ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში.

ისრაელიდან დაბრუნებულმა ჩვენმა სპორტულმა დელეგაციამ ერთი სასიხარულო ამბავიც ჩამოიტანა — საქართველოს იუნიორთა ნაკრები (1982 წლიანები), როგორც ცნობილია, თანატოლებს შორის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ისრაელის კალათბურთის ფედერაციამ ჩვენი იუნიორები საწვრთნელ შეკრებაზე თავისთან მიიწვია 26 მარტიდან 2 აპრილამდე. ამავე დროს მიწვეულები ამხანაგურ მატჩებსაც ჩაატარებენ. ადგილზე ყველა ხარჯს ისრაელის მხარე გაიღებს.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კი XV ტურის მატჩები გაიმართა. ამ ტურის წინ დიდი ვნებათაღელვა იყო მოსალოდნელი და ასეც მოხდა. საქმე იმაშია, რომ 8 კლუბს სხვადასხვა ოდენობის ფულადი დავალიანება აქვს, რის გამო ერთი კვირით ადრე ამ კლუბებმა ფედერაციისაგან მკაცრი გაფრთხილება მიიღო. პრინციპულობის პირველი მსხვერპლი გახდა „დინამო“ — ფედე-

იხ. მე-2 გვ.

ალექსანდრე მოდებაძე მინსკიდან გამარჯვებული ბრუნდება


ალექსანდრე მოდებაძე

სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირებში თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც ჩაებნენ. პირველი ასეთი ასპარეზობა მინსკში ჩატარდა, სადაც ჩვენი 6 ფალავანი სცდიდა ძალას. ყველაზე მაღალ შედეგს საქართველოს წარგზავნილებიდან მიაღწია თელაველმა ალექსანდრე მოდებაძემ, რომელიც ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში უძლიერესი იყო და დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა მოახლოებული ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად. მოდებაძემ ფინალში სძლია ატლანტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს მინსკელ მედვედს. სამწუხაროდ, ჩვენი ფალავნებიდან საპრიზო ადგილზე მოდებაძის გარდა ვერავინ გავიდა. გორელი ოთარ თუშიშვილი (58 კგ) ურიგოდ არ ჭიდაობდა, მაგრამ ტრავმის გამო გამოეთიშა ტურნირს და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა. მის თანაქალაქელ დავით პოღოსიანსაც (63) ხელი მოეცარა და VI ადგილზე გავიდა მხოლოდ. ქუთაისელი გოჩა კირკიტაძე (54) შეჯიბრებას გამოეთიშა. ეს ტურნირი უიღბლო გამოდგა ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორის თბილისელ თამაზ გეგეშიძისთვისაც, რომელიც მინსკში საკუთარი სახსრებით გაემგზავრა. პირადი ხარჯებით იყო წასული ამ შეჯიბრებაზე აგრეთვე გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი (76), რომელმაც მხოლოდ ერთი პაექრობის მოგება შესძლო.

წინ კიდევ რამდენიმე სალიცენზიო ტურნირია, რომლის შემდეგ საბოლოოდ გაირკვევა თუ ვინ დაიმკვიდრებს ადგილს 8 უძლიერესში, რაც სიდნეიში ასპარეზობის უფლებას იძლევა.

„ლელო“ – „გუმათი“

FILA

ჩვენები ფილას რეიტინგში

1999 წლის შედეგების მიხედვით, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) გამოაქვეყნა უძლიერეს ფალავანთა ოცეული თითოეულ წონით კატეგორიაში. თავისუფალ ჭიდაობაში რეიტინგით მეორე ადგილზეა ჩვენი ელდარ კურტანიძე (90 კგ.). მეოთხეა — ემზარ ბედინეიშვილი (69), მეექვსე — ოთარ თუშიშვილი (58), მეცხრამეტე — გოჩა კირკიტაძე (54) და მეოცე — ალექსანდრე მოდებაძე. ასე რომ, 8 წონით კატეგორიაში ჩვენი 5 სპორტსმენია უძლიერესთა შორის.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოდან ოცეულში შევიდა 4 ფალავანი. ესენი არიან: ტარიელ მელელაშვილი (76) — მესამე, გენადი ჩხაიძე (97) — მეხუთე, აკაკი ჩაჩუა (63) — მერვე და ალექსანდრე ცერცვაძე (54) — მეცხრამეტე.

ერთი კარიკატურის ორი ასოციაცია

დღემდე თავაწეულები ვამაყობდით, რომ პარტიებად და „სისტემად“ დანაწევრებულ ჩვენს ქვეყანაში, ერთადერთი საზოგადოებრივი სამყარო, ვინც ერთიანობა შეინარჩუნა და ისედაც დაოსებული ხალხი თავიანთი დაპირისპირებებით ზედმეტად არ შეაწუხა, ქართული სპორტი იყო. ახლა განხეთქილების ბაცილამ ამ სფეროშიც შეაღწია და დადგა ერთმანეთის პირისპირ ოდითგანვე ჯანსაღი სამყაროს წარმომადგენელთა მცირე ნაწილი. მოჭადრაკეები გვყავს მხედველობაში.

ამ დღეებში გაზეთმა „თბილისმა“ კუციას ნახატები გამოაქვეყნა. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო კარიკატურამ, რომელსაც აქვე გთავაზობთ. მხატვარმა, ცხადია, გაუსაძლისი ზამთრით გამოწვეული შთაბეჭდილება გამოსახა, როცა ადამიანები ყველაფერს ყრიან ღუმელში გასათბობად. მაგრამ ამ ნახატმა ჩვენში სულ სხვა ემოციაც აღძრა — იქამდე არ მივიდეს საქმე, რომ მოჭადრაკეთა ურთიერთდაპირისპირებით გაწბილებულმა ადამიანებმა ჭადრაკის დაფა და ფიგურები მართლა შეუძახონ ღუმელში, სულაც სანაგვეზე მოისროლონ...



ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი -2.0500 ლარი.

სპორტი – ყველასათვის!

პრინც ჩარლზის უფროსი ვაჟიშვილი უილიამი ნიჩბოსნობითაცაა გატაცებული

„დინამო" პრინციპულობის პირველი მსხვერპლი

(პირველი გვერდიდან)

რაციამ სიტყვა უკან არ წაიღო და დინამოელებს 0:20 წაგება ჩაეთვალა.

„შევარდენმა" ამ ტურში ასკ-ს სძლია 80:68. შევარდნელთაგან თავი გამოიჩინა ნუცუბიძემ, რომელმაც თავისიანებს 25 ქულა მოუტანა. არმიელთაგან კი 16-16 ქულა დაიმსახურეს მ. მარკოიშვილმა და მარხვაშვილმა. ცენტრალურ შეხვედრად მიიჩნევდნენ „ვითა" — თსუ-ს მატჩს, მაგრამ ეს პაექრობა არ შედგა — ელექტროენერგია გამოირთო და თამაში მეორე დღისთვის გადადეს.

„აზოტმა" — სტუ-ს უმასპინძლა და ძალდაუტანებლად მიაღწია გამარჯვებას — 105:85. რუსთაველთაგან 21 ქულა დააფიქსირა მ. ბერუაშვილმა, სტუმართაგან კი შეუდარებელი კვლავ ხოშტარია იყო, თუმცა მისმა აქტიურობამ საბოლოო წარმატება თავისიანებს ვერ მოუტანა.

რაც შეეხება ვალებს. ასკ-ამ და „ვითამ" საქმე არ გაირთულა და დავალიანება დაფარა, „აზოტმა", რომელსაც ყველაზე მეტი 9000 ლარი მართებს, საგარანტიო წერილით გაიხანგრძლივა ჩემპიონატში თამაშის უფლება. გორელებს ფული გადაურიცხიათ და ფედერაცია დღე-დღეზე ელოდება. აი, „მაკაბს" კი, რომელიც ისრაელიდან ეს-ესაა დაბრუნდა, პრობლემის გადაჭრა ოპერატიულად მოუწევს.

გუშინ ჩატარდა ტურის გადადებული შეხვედრა „ვითა" — თსუ 78:70. სატურნირო მდგომარეობა XV ტურის შემდეგ:

	თ.	ქ.
ბასკო	14	14
აზოტი	15	12
სტუ	15	12
ვითა	15	10
სდასუ	15	9
თსუ	15	8
მაკაბი	15	8
შევარდენი	15	5
დინამო	15	5
გსუ	14	3
ასკ	15	1
სსუ	15	1

შენიშვნა: „ბასკო" — გსუ-ს მატჩი გადადებულია.

იური იმერლიშვილის საავტორო რუბრიკა: „როგორ გადავარჩინოთ ქართული სპორტი", რას ფიქრობენ პარლამენტარები

იური იმერლიშვილი: დაიბადა 1943 წლის 28 მარტს ხაშურის რაიონის სოფ. ბრილში. დაამთავრა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი. „ლელოში" თანამშრომლობს 1974 წლიდან.

დღითიდღე ღრმავდება ქართული სპორტის კრიზისი, რის გამოც დიდი საფრთხე ემუქრება სიდნეიში ჩვენი ქვეყნის ოლიმპიელთა მონაწილეობას. კვდება ეროვნული ფედერაციები, მწვრთნელებსა და ფედერაციათა მუშაკებს 22 თვეა ხელფასი არ მიუღიათ.

წინა არჩევის პარლამენტმა სპორტი გერად აქცია ქვეყანაში და აშკარად გაუმტყუნა იმედი სპორტულ სამყაროს. მიღებული კანონი „სპორტის შესახებ" ქაღალდზე დარჩა. პარლამენტის წაბაძვით ხელისუფლებამ, სამინისტროებმა, უწყებებმა და ბიზნესმენებმა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), ზურგი შეაქციეს ქართულ სპორტს.

და აი, გაჩნდა იმედი, ახალარჩეულ პარლამენტში 30-ზე მეტი სპორტისათვის გულანთებული პარლამენტარია, რომელთაც ადრე ჰქონდათ ურთიერთობა სპორტთან, ზოგიერთი კი დღესაც ტრიალებს ამ სფეროში. ვფიქრობ, მათ იმედად პარლამენტში სპორტს ლობი ეყოლება. ამიტომაც, დისკუსიას, „როგორ გადავარჩინოთ ქართული სპორტი", პარლამენტარებით ვიწყებთ.

პარლამენტარი – ნოდარ მოდებაძე

დაიბადა 1950 წლის 29 ოქტომბერს თელავის რაიონის ს. აკურაში. თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 1966 წელს, პირველ წარმატებას მიაღწია იმავე წელს — საქართველოს „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი. მწვრთნელები — პეტრე იორდანიშვილი და გიორგი როსტიაშვილი.

საუკეთესო შედეგები: 1974 წ. ესპანეთი — მსოფლიო თასის მფლობელი, 1973 წ. შვეიცარია — ევროპის ჩემპიონი. 1973 წ. სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული, 1977 წ. საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. მოგებული აქვს ყველა საერთაშორისო ტურნირი, სადაც უასპარეზია. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. 1984 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელად. 1983-86 წლებში იყო დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დირექტორი, 1986-92 წლებში ავტოგასამართი სამმართველოს ინჟინერი. 1993-96 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრომრეწვნავთობსერვისის გენერალურ დირექტორად. 1996-1999 წლებში იყო შპს „აკურას" დირექტორი. 1999 წლის 31 ოქტომბრიდან არჩეულია პარლამენტის დეპუტატად ბლოკ „აღორძინებიდან". ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი — ერთი ქალიშვილი, სამი ვაჟი, რძალი და შვილიშვილი.

● *ბატონო ნოდარ, როგორ შეფასებას მისცემდით ქართულ სპორტში შექმნილ დღევანდელ სიტუაციას?*

— ეს შეკითხვა ნებისმიერ პიროვნებას რომ დაუსვათ, ვინც თვალს ადევნებს ქართულ სპორტს, ყველა გიპასუხებთ, რომ ქართული სპორტი დაღუპვის გზაზეა. სპორტთან, კერძოდ, თავისუფალ ჭიდაობასთან კავშირი არ გამიწყვეტია, რადგან ჩემი სამივე ვაჟი ჭიდაობაში ვარჯიშობენ და ვხედავ რა გასაჭირშია ჩვენი სპორტი. ამ დღეებში დავესწარი ფალავანთა კლუბში ქვეყნის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ვარჯიშს. დარბაზში ისეთი სიცივე იყო, რომ მწვრთნელები თბილად ჩაცმულები ამეცადინებდნენ მომავალ ოლიმპიელებს. სიდნეიში ასპარეზობამდე თითებზე ჩამოსათვლელი თვეებიღა დარჩა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ისე გაემგზავრნენ მინსკში, მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, რომ სასწავლო-საწვრთნელი შეკრება არ გაუვლიათ. არადა, ეს ტურნირი ლიცენზიების მოპოვების ჩათვლაში შედის. ასეთი მდგომარეობის შემდეგ რა შედეგები უნდა მოიპოვონ ჩვენმა ფალავნებმა? ვფიქრობ, ანალოგიური მდგომარეობაა სპორტის სხვა სახეობებში. გული მტკივა, როდესაც ვუყურებ შიშველ ენთუზიაზმზე მომუშავე მწვრთნელებსა და ფედერაციების მუშაკებს, რომლებსაც ლამის ორი წელია ხელფასი არ მიუღიათ.

● *ხომ ვერ დაგვისახელებდით იმ მიზეზებს, რამაც თქვენი აზრით აქამდე მიიყვანა ქართული სპორტი?*

— მე, რომ სპორტის მუშაკი ვიყო, ალბათ უფრო ამომწურავად გეტყოდით მიზეზთა შესახებ, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი — ქართულ სპორტს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დაფინანსება არა აქვს.

● *საინტერესოა თქვენი აზრი სპორტის მართვის დღევანდელ მოდელზე.*

— ყოველივე ახლის, ანუ პროგრესულის მომხრე ვარ, მაგრამ ჩვენში სპორტის მართვის ახალი მოდელის შემოღებამ პრობლემების მეტი არაფერი მოგვიტანა. ეს მოდელი უფრო განვითარებულ, ძლიერი ქვეყნებისათვისაა გამოსადეგი. ჩვენ გვქონდა საბჭოური მართვის მოდელი, რომელიც წარმატებათა საწინდარი იყო. მახსოვს, ადრე საქართველოს სპორტკომიტეტში ჭიდაობების ყველა სახეობებს ერთი ღვაწლმოსილი პიროვნება, აწ განსვენებული ვახტანგ კუხიანიძე ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში ისეთი შთამბეჭდავი შედეგები ჰქონდათ ჩვენს მოჭიდავეებს, რომლებზედაც დღეს ოცნება თუ შეიძლება. გადაჭრით ვერ გეტყვით დავუბრუნდეთ თუ არა ძველ, ნაცად გზას, მაგრამ, ვფიქრობ, ამაზე სპეციალისტთა მსჯელობა უნდა გაიმართოს.

● *თვლით თუ არა, რომ სპორტი ამავე დროს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და სპორტსმენის მიერ მოპოვებული ოლიმპიური მედალი, არა მარტო პირადად სპორტსმენის, არამედ მთელი ქვეყნის მონაპოვარია და მსოფლიოს არენაზე ერის წარმოჩენას დიდად განაპირობებს. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც პოლიტიკოსი, ყოფილი სპორტსმენი, როგორ აფასებთ საქართველოდან სპორტსმენთა მიგრაციას?*

— საკითხი, რა თქმა უნდა, ძალზე მტკივნეულია. საქართველოში აღზრდილმა და დაოსტატებულმა სპორტსმენებმა თავისი ქვეყნის ღირსება უნდა დაიცვან ოლიმპიურ თამაშებზე და სხვა რანგის შეჯიბრებებზე. ამისათვის მას, სახელმწიფომ სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს. რათა სპორტსმენს, უცხოეთისკენ არ ეჭიროს თვალი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფაქტია, თუ ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ, სპორტსმენთა მიგრაციას ხელი აღარ უნდა შევუშალოთ, რათა მათ მიეცეთ საშუალება სხვაგან მაინც გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი.

● *უახლოეს საბიუჯეტო მოსმენაზე, სადაც უნდა დამტკიცდეს სახსრები სპორტისათვის, გამოიყენებთ თუ არა მიკროფონს ქართული სპორტის მხარდასაჭერად და საკეთილდღეოდ. აპირებთ თუ არა, პარლამენტში თქვენი მოღვაწეობა ნაწილობრივ მაინც მიუძღვნათ ქართული სპორტის პრობლემებს და რის გაკეთებას გვპირდებით?*

— ვეცდები პარლამენტის საბიუჯეტო მოსმენაზე წარვსდგე ჩემი წინადადებებით და მოსაზრებებით. ყველანაირად ვიბრძოლებ ხელი შევუწყო ქართული სპორტის პრობლემების გადაწყვეტას. ეს ხომ ჩვენი შვილების, მომავალი თაობის სწორად აღზრდის უპირველესი საკითხებია.

● *გესახებათ თუ არა რეალურად ქართული სპორტის გადარჩენის ერთ-ერთ გზად ლატარიების მონოპოლიზება სახელმწიფოს მიერ, რომლის შედეგად შემოსავლები [illegible] სპორტს და უნდა გათავისუფლდნენ თუ არა გადასახადისაგან ის ბიზნესმენები, რომლებიც სპორტში დააბანდებენ თანხებს?*

— მიკვირს, რატომ ჭიანურდება ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება, რაც ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს და ფეხზე დააყენებს ქართულ სპორტს. რაც დროზე მივიღებთ საკანონმდებლო აქტებს ამ საკითხებზე, გნებავთ კანონს, კრიზისიდან მით უფრო მალე გამოვალთ.

● *თქვენი შეხედულება წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე „სპორტის შესახებ". საჭიროა თუ არა მასში ცვლილებების შეტანა და კერძოდ რა?*

— დასაბუთებულად რომ გიპასუხოთ, საფუძვლიანად უნდა გავეცნო ამ კანონს. ისე, ვფიქრობ, კანონში შევიდეს ლატარიების სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზების და შემოსავლების სპორტისთვის დათმობა, აგრეთვე გადასახადისაგან იმ ბიზნესმენების გათავისუფლება, რომლებიც სპორტში დააბანდებენ თანხებს.

● *თქვენ რომ ქართული სპორტის თავკაცი იყოთ, რა მიმართებით განახორციელებდით სპორტის გარდაქმნას კრიზისიდან გამოყვანისა და გადარჩენისათვის?*

— რთული კითხვაა. სპორტში რომ რაღაც ახალი შემოიტანო, კარგად უნდა ერკვეოდე ყველა იმ საკითხში თუ პრობლემებში, რომლის წინაშეც ეს დარგია და ისიც უნდა წინასწარ გათვალო, რა სარგებლობას მოუტანს იგი ხალხს და ქვეყანას. ჩემი აზრით, ამჟამად სპორტში დიდი გარდაქმნები და რეფორმები აუცილებელი არ არის. მთავარი, ისევ და ისევ დაფინანსებაა. კადრები ურიგო როდი გვყავს. მათ შესახებ მხოლოდ საქებარი სიტყვები უნდა ითქვას, რადგან უხელფასოდ, უპრეტენზიოდ მუშაობა მე პირადად გმირობის ტოლფასად მიმაჩნია. რაც შეეხება ფედერაციათა ხელმძღვანელებს, პრეზიდენტის პოსტზე ისეთი პიროვნება უნდა აირჩეს, რომელსაც უნარი შესწევს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ პირობებში უზრუნველყოს ფედერაციის დაფინანსება, სხვა შემთხვევაში, პრეზიდენტობას რა ფასი აქვს. ამასთან, აუცილებელი არ არის ფედერაციის პრეზიდენტი ტიტულოვანი სპორტსმენი იყოს. მთავარია, იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელსაც გული შესტკივა ქართული სპორტისათვის. მხარს ვუჭერ თქვენს რუბრიკას. დროა გაშლილ დისკუსიაში ქართული სპორტის გადარჩენის თაობაზე. დისკუსიაში კი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარლამენტარებმა, სპორტის სპეციალისტებმა, გულშემატკივრებმა და ყველა იმ პიროვნებამ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული საუნჯე — ქართული სპორტი.

ესაუბრა იური იმერლიშვილი

მაგიდის ჩოგბურთი

ზაფხულში გველოდება ბრატისლავა

– ახლა ჩვენი სპორტსმენების ნებისმიერი შეჯიბრება განიხილება იუნიორთა ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების ნიშნით, რომელიც სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გაიმართება 9-16 ივლისს, – გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ნიკო არჩვაძემ. იგი თვლის, რომ გამონაკლისს არც ამ დღეებში (28-30 იანვარს) ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატი წარმოადგენდა. სპეციალისტები კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენ საკმაოდ ნიჭიერი, პერსპექტიული მაგიდის ჩოგბურთელები გვყავს. განსაკუთრებით გაგვახარეს 10-11 წლის სპორტსმენებმა, რომელთაგან პირადად მე ათამდე ნიჭიერ ბავშვს გამოვყოფდი.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი და ახალგაზრდული პირველობა (1987 წელსა და უფრო ადრე დაბადებულნი) საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დარბაზში ჩატარდა. მასში 65 ჩოგბურთელი მონაწილეობდა თბილისიდან, ბათუმიდან და რუსთავიდან. სამწუხაროდ, ტურნირზე უამინდობის გამო ჩამოსვლა ვერ შეძლეს ქუთაისის, ბორჯომისა და თელავის გუნდებმა.

ორიოდე სიტყვა ბათუმელ სპორტსმენებზე. მათი მწვრთნელია აჭარის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გიორგი სარხოიანი. მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებს (ძველ თაობას) კარგად უნდა ახსოვდეთ ეს გვარი. გიორგის უფროსი ძმა ბათუმელი სარქის სარხოიანი წარსულში ერთ-ერთი უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელი იყო მთელს კავშირში. იგი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი იყო, მსოფლიო ჩემპიონი სტუდენტთა შორის, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი წლების მანძილზე. დღეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სარქის სარხოიანი იტალიაში ცხოვრობს უკვე 6 წელიწადია. თავდაპირველად იგი კონტრაქტით იტალიის ქალთა ნაკრებს ავარჯიშებდა და არნახული წარმატება მოუტანა ამ გუნდს – იტალიელებმა 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ბირმინგემში (ინგლისი) მე-6 ადგილი მოიპოვეს. დღეს ს. სარხოიანი ქალაქ ტერნში ცხოვრობს და სათავეში უდგას იტალიის იუნიორთა ნაკრებს. სასიხარულოა, რომ იგი არ ივიწყებს მშობლიურ აჭარას და ყოველ წელიწადს ეხმარება ამ ავტონომიური რესპუბლიკის ნაკრებს, რათა იტალიაში გაიაროს საწვრთნელი შეკრება. ცხადია, ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბათუმელმა ჩოგბურთელებმა ამ ტურნირში ჩემპიონობის წოდებებიც მოიპოვეს და პრიზიორებიც ჰყავთ.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის სწორედ ბათუმელებმა გაიმარჯვეს – იოსებ ჯახუტაშვილმა და დიანა ჩარექიშვილმა. ისიც საინტერესოა, რომ ქალთა შორის მეორე და მესამე ადგილებიც აჭარელ სპორტსმენებს ხვდათ – ლიკა ქათამაძესა და ვერიკო ბარამიძეს. ვაჟებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელები – ვახტანგ იმერლიშვილი და ლევან ბურკაძე.

ჭაბუკთა შორის პირველი სამეული ასე დანაწილდა: კოტე ხარატი, ირაკლი რევაზიშვილი და ილია სიმონიანი (სამივე – თბილისი). გოგონებში პირველი და მეორე ადგილებზე ისევ ბათუმელები გავიდნენ – მაია ბარამიძე და თეონა მაისურაძე, მესამე იყო თბილისელი მაია დავითიძე.

თებერვლის ბოლოს ბათუმში დაგეგმილია აჭარის ღია პირველობა, რომელშიც საქართველოს კიდევ რამდენიმე გუნდიც გამოვა. მერე კი აპრილში განზრახულია პირველი სრულიად კავკასიის თამაშების ჩატარება თბილისში, რაც ალბათ გენერალური რეპეტიცია იქნება იუნიორთა შორის ბრატისლავას ევროპის ჩემპიონატის წინ.

რობერტ ყარსელი

სურათზე: ჩემპიონატის ყველა გამარჯვებული და პრიზიორი.
რობერტ ბაგოიანის ფოტო.

«მესხი — ორმოცდაათი მილიონი»



ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების სწორუპოვარი მარცხენა გარემარბის მიხეილ მესხის თამაშმა, თვით ყოვლისმნახველი არგენტინელი გულშემატკივრებიც კი გააოცა, რასაც შესანიშნავად აღწერს თავის წიგნში „Еще раз про футбол“ ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, ყოველკვირეული „ფუტბოლის“ დამაარსებელი მარტინ მერჟანოვი.

საბჭოთა კავშირის ნაკრების იმ სამხრეთამერიკულ ტურნემდე, რომელშიც ქართველი ფორვარდის ცეცხლოვანი თამაში ათიათასობით მაყურებლისათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, ავტორი ცოტა შორიდან, კერძოდ, ქვეყნის ნაკრების ულიმღამო გამოსვლით იწყებს საუბარს მსოფლიოს VI ჩემპიონატზე, რომელიც 1958 წელს შვეციის ქალაქებში ჩატარდა.

კერძოდ, იგი ლაპარაკობს, რომ მანამდე საბჭოთა გუნდები ამარცხებდნენ ევროპაში უძლიერეს უნგრელებს, მსოფლიო ჩემპიონ გფრ-ს ნაკრებს; აგრეთვე ისეთ ძლიერ კლუბებს, როგორიცაა „მილანი“, „ტოტენჰემ ჰოტსპური“, „არსენალი“, „რეიმსი“, „ვულვერჰემპტონ-უონდერერსი“, „ვასკო და გამა“, „ატლეტიკო პორტუგეზა“, „რაპიდი“...

მაგრამ კარგად ვამჩნევდით, რომ მეტოქეები ბურთის თავისუფლად ფლობაში აშკარად გვისწრებდნენ. ამ ხარვეზის კომპენსირებას „დაუშრეტელი ენერგიის“ წყალობით ვავსებდით და ის გამარჯვებებიც სწორედ ამის წყალობით მოდიოდა. მეტოქეები სწრაფად დაგვეწიენ ფიზიკურ მომზადებაში, რაც ვერ შევძელით — ტექნიკის სრულყოფაში დავსწეოდით მათ. ფეხბურთი ხომ ნაირსახოვანია — ერთ პოლუსზეა მოთამაშის გამძლეობა, სისწრაფე, მეორეზე — ტექნიკური სრულყოფა, მაგრამ ეს ანტიპოდები კი არა, პირიქით, ერთ პოლუსს უერთიმეოროდ არსებობა არ შეუძლია. ამიტომაც ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა შვეციის შემდეგ გუნდი მნიშვნელოვნად გადაახალისა, განსაკუთრებით თავდასხმის ხაზი, როცა მიიწვია ტექნიკური მოთამაშეები: ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ვ. პონედელნიკი, ვ. ბუბუკინი და მ. მესხი. ახალმა შემადგენლობამ პირველი გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა პოლონელებთან მატჩში შინ (7-1), რომელსაც ესპანეთის ნაკრების ცნობილი მწვრთნელი ელინიო ერერა ესწრებოდა, მაშინ შეარქვა მან საბჭოთა გარემარბებს „ქართული ფრთები“ (მესხსა და მეტრეველს გულისხმობდა). სხვათა შორის, მისი ვიზიტი „ლუჟნიკებში“ შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ევროპის პირველი ჩემპიონატის (მაშინ თასი ეწოდებოდა), მეოთხედფინალური შეხვედრის წინა დღეებში მოხდა, სსრ კავშირის ნაკრები მის გუნდს უნდა შეხვედროდა თასის ამ ეტაპზე. მალე გაირკვა, რომ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო ესპანელებმა უარი განაცხადეს... მოსკოვში თამაშზე.

...1961 წელმა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების ნიშნით ჩაიარა, და ის ისტორიული ტურნეც სამხრეთ ამერიკაში იმ წლის შემოდგომაზე გაიმართა. მანამდე საბჭოთა ნაკრებმა ჯერ მსოფლიო პირველობის შერჩევით მატჩებში სძლია ნორვეგიელებს (5-0), ანგარიში მეტრეველმა გახსნა. მეორე ტაიმში გოლები მ. მესხმა და ვ. ბუბუკინმა თითო გოლი გაიტანეს. შემდეგ სტამბოლში საკმაოდ დაძაბული მატჩი მოუგეს თურქეთის ნაკრებს — 2-1. სტამბოლიდან ბუენოს-აირესამდე გუნდმა ორი დღე-ღამე იფრინა. არგენტინაში მატჩისადმი ინტერესმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...

საერთოდ ფეხბურთი იქ თავისებური კულტია, მას კერპივით ეთაყვანებიან, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომაც მსხვილი მეწარმენი და ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობს რაც შეიძლება ახლოს იდგეს ფეხბურთთან. კაცი, რომელსაც ეს საყოველთაო თამაში არ უყვარს, მასებს... მოწყვეტილად ითვლება, რასაც არჩევნებში უთუოდ გაახსენებენ ამას. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ფეხბურთის კლუბების სათავეში ან მმართველობაში შეიძლება იყოს მსხვილი ფაბრიკანტი, სენატორი და საზოგადო მოღვაწე.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ არგენტინელ და ურუგვაელ ფეხბურთელთა წაჩხუბებამ დიდად იმოქმედა ამ ქვეყნების ურთიერთობაზე. ბუნებრივი იყო, რომ მთელმა პრესამ, მათ შორის ოთხმა საფეხბურთო ყოველკვირეულმა გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩვენს ჩასვლას არგენტინაში. ჟურნალისტებსა და მწვრთნელებთან ერთად არც ბიჭუნები ერიდებოდნენ ჩვენს საწინააღმდეგო პროგნოზებს, რომლებიც ქუჩაში მარცხენა ხელის თითებით „ნულს“ გვიჩვენებდნენ, ხოლო მარჯვენა მტევნის ხუთივე თითს „ჩაჩხავდნენ“, მომავალი მატჩის ანგარიში 0-5 იქნებაო.

ამავე დროს პრესა ალმატებულ ფორმებში უწევდა რეკლამას „არგენტინელ ვარსკვლავებს“. სიტყვიერი გვირგვინებით ამკობდნენ: სანფილიპოს, კორბატას და არტიმეს.

ეს დაბეჯითებითი ტონი სულაც არ იყო შემთხვევითი. ფეხბურთის საზოგადოებრიობას ჯერ არ ახსოვდა ისეთი შემთხვევა, ევროპულ ეროვნულ გუნდს არგენტინაში რომ რაიმე წარმატება ჰქონოდა, და სპორტული მიმომხილველების აზრით, ეს არც შეიძლებოდა მომხდარიყო. და აი, 18 ნოემბერს, „რივერ პლეიტის“ სტადიონზე შეხვედრა დაიწყო. მატჩის პირველსავე წუთებიდან მასპინძელთა აგრესიულმა ფორვარდებმა ჩვენს კარზე იერიში მიიტანეს და თითქოს, მიზანთანაც ახლოს იყვნენ. ეს შეიმჩნეოდა „გოლების მეფის“ სანფილიპოსა და მარჯვენა შუამარბ პიცუტის მოქმედებაში. ბურთის დაკარგვისას, ემოციური ჟესტებით გამოთქვამდნენ გაკვირვებას, მერე გულმოსულები მიწას თავსაც ურტყამდნენ.

მათი სისუსტე ის იყო, რომ ფორვარდები მდორედ, მოკლე განივი გადაცემებით, რასაც ძალიან ლამაზად აკეთებდნენ, მიიწევდნენ ჩვენი კარისაკენ. ამასობაში დაცვა „ტექნიკურად“ ახერხებდა საჯარიმოს „ჩაკეტვას“. მეტოქეთა: სანფილიპოსა და მისი მეგობრების გაკვირვებას ბოლო მოეღო. ამ პირველის შეხვედრა ვორონინთან მთლად სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო მისთვის მოსაგონრად...

და აი, მესხმა თავისი საფირმო ფინტით გვერდი აუარა მცველებს, ჯერ სიმონეს, შემდეგ დელგადოს, გაიჭრა ფლანგზე და ბურთი არგენტინელთა კარის სახიფათო ზონაში ჩაჰკიდა. ბურთი ძლივს მოიგერიეს. სტადიონმა შვებით ამოისუნთქა. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მესხი შესანიშნავად გავიდა მინდვრის მარცხენა კიდით, რასაც მეტრეველის რეიდი მოჰყვა მარჯვნიდან, ცენტრიდან პონედელნიკი ელვისებურად გავიდა წინ. ივანოვმა, ნეტომ და გუსაროვმა ნამდვილი ქარბორბალა დაატრიალეს. რა არის ეს? ხალხი გაკვირვებულია. ამოოხვრები სულ უფრო და უფრო შეძახილებით შეიცვალა სტუმრების მიმართ. ბურთს ხელთ რომ იგდებდა მესხი, სტადიონი აგუგუნდებოდა და როგორც კი გაექცეოდა თავის „მეურვე“ სიმეონეს — კმაყოფილი ტაში მოჰყვებოდა. მესხმა ამ მატჩში თამაშის უმაღლესი კლასი აჩვენა.

აშკარა იყო, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს შორის გამოირჩეოდნენ მესხი და მეტრეველი, რომლებმაც სიმეონესა და გრიგალის მთელი ყურადღება მიიპყრეს, როგორი თავგზააბნეულები იყვნენ დელგადო და გრიგალი! არგენტინელთა დაცვა მთელი ფრონტის სიგანით მოიშალა. ამიტომაც პონედელნიკის ორი გოლი ორ წუთში სულაც არ იყო შემთხვევითი. ორივე ბურთი მზადდებოდა და მწიფდებოდა ფლანგებზე, რომლებმაც მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა.

თუ შეიძლება ლაპარაკი ფეხბურთის ესთეტიკაზე, იგი სრულიად წარმოჩინდა ამ მატჩში.

არგენტინელებმა ერთი ბურთის გაქვითვალა შეძლეს. ეს მაშინ მოხდა, ტრავმირებულმა იაშინმა კარი რომ დატოვა.

ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება. მაყურებლები გარს შემოერტყნენ სტუმრებს. ჰკოცნიდნენ მათ, ეხვეოდნენ, ხელს ართმევდნენ, ავტოგრაფებს სთხოვდნენ... მესხი მიწისქვეშ გაუჩინარდა.

გუნდი გასახდელიდან რომ გამოვიდა, ზღვა ხალხი ხმაურობდა და უკრავდა ტაშს. პოლიციამ ვერ მოახერხა ხალხის შეკავება. ფეხბურთელებმა რის ვაინაჩრობით შეაღწიეს ავტობუსში. კვლავ გაისმა სირენის ხმა. წინ მიუძღოდნენ ავტობუსს მოტოციკლისტები, სასტუმროსკენ მიმავლებს გვესმოდა ხალხის შეძახილები: „ბრავო, მესხი!“, „ბრავო, მეტრეველი!“, „ბრავო, იაშინ!..“

მეორე დღეს კი გაჩნდა ფართო რეცენზიები, აქებდნენ ჩვენს გუნდს, დაუფარავად გამოითქმებოდა გაკვირვება და სიმპათიები. გამოაქვეყნეს ჩვენი ფეხბურთელების სურათები. ერთ-ერთ გაზეთში კი გაჩნდა საყურადღებო განცხადება: „მ. მესხი — ორმოცდაათი მილიონი პესეტი; ს. მეტრეველი — ორმოცდაათი მილიონი პესეტი; ვ. პონედელნიკი — ორმოცდაათი მილიონი პესეტი; ლ. იაშინი — ფასდაუდებელი“.

„კინოკადრზე“ (ზემოდან – ქვემოთ) ასახულია მიხეილ მესხის „საფირმო“ ფინტი დინამო (თბ.) – „ბაია“ (ბრაზილია) შეხვედრაში. მესხის ეს ფინტი ამჯერად ბრაზილიელთა მცველმა ალბერტო პერეირამ იწვნია.

ქართული ფეხბურთის ვეტერანები

ასლან ხარბედია

ქართული ფეხბურთის მატიანეში სამუდამოდაა ჩაწერილი ორი დაუვიწყარი ბრწყინვალე მატჩი: 1939 წლის 18 ნოემბრის – მოსკოვის ცდკა-სთან (5-4) და 1946 წლის 26 აპრილისა – მოსკოვის „დინამოსთან“ (3-2). ორივე ამ მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო ასლან ხარბედია, რომელსაც ამ დღეებში 80 წელი შეუსრულდა. მრავალჟამიერ, ბატონო ასლან!

ა. ხარბედია, ისევე როგორც მისი სახელოვანი თანაგუნდელები ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, გ. გაგუა, მ. ბერძენიშვილი, ა. ღოღობერიძე და სხვები ეკუთვნის ფეხბურთელთა იმ თაობას, რომლის გაფურჩქვნის ხანაც დაემთხვა ომიანობის წლებს. დაიკარგა მათი „ოქროს წლები“. თბილისის „დინამოში“ ა. ხარბედიას ჩარიცხვას წინ უძღოდა თამაში მშობლიური ფოთის, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის გუნდში, რომელმაც 1938 წელს პირველობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა შეჯიბრებაში.

ბუნებრივია, რომ შესანიშნავი აღნაგობის „რეაქტიულ“ ახალგაზრდას თვალი დაადგეს მთავარი საფეხბურთო გუნდის „დინამოს“ მწვრთნელებმაც და 1939 წლის დასაწყისში იგი გუნდში მიიწვიეს. განსაკუთრებული სიმპათიით მოეკიდა ახალბედას უფროსი მწვრთნელი – განთქმული მიხეილ ბუტუსოვი, რომელიც სპეციალურად ავარჯიშებდა მას.

1945 წ. სპარტაკი (მოსკოვი) – დინამო (თბ.) 1-2. ასლან ხარბედია (თეთრ მაისურში)

თავისი საგოლე პირადი ანგარიში ასლანმა ჩემპიონატის მეორე მატჩში – მოსკოვის „ტორპედოსთან“ გახსნა (18 მაისი, 3-0), სადაც ორი გოლი გაიტანა. აქ გამოიკვეთა ახალგაზრდა ფორვარდის საუკეთესო თვისებები: სისწრაფე, სისხარტე, ძლიერი დარტყმა, საგოლე ალღო. განსაკუთრებით შედეგიანად ითამაშა მან მეორე წრეში, როდესაც 13 შეხვედრაში 10-ჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე (ძალზე მაღალი მაჩვენებელია!), მათ შორის – მოწინააღმდეგის მინდვრებზეც.

სპორტულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ნიჭიერი დებიუტანტის თამაშს, ცნობილი მოსკოველი საფეხბურთო მიმომხილველი ა. პერელი აღტაცებით წერდა ხარბედიას მიერ მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსთან“ გატანილი გოლის შესახებ.

მაგრამ მისი თამაშის და, საზოგადოდ, ამ საფეხბურთო სეზონის ნამდვილ კულმინაციად მოგვევლინა ცდკა-სთან ლეგენდად ქცეული მატჩი 18 ნოემბერს.

როგორც ცნობილია, პირველი ნახევრის დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ (1-4), თბილისელებმა გამარჯვება გამოჰგლიჯეს ცდკა-ს დიდებულ გუნდს და გზა გაიკაფეს მე-2 ადგილისაკენ. სწორედ ამ შეხვედრის მეორე ნახევარში თბილისელებმა გამოიყენეს ადგილების შენაცვლების ტაქტიკა, რომელმაც შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა ფეხბურთში. ამ ტაქტიკის უშუალო შემსრულებლად მოგვევლინენ ქართული ფეხბურთის გენიოსი, – დიდი ბორის პაიჭაძე და ასლან ხარბედია, რომლებიც გამუდმებით ინაცვლებდნენ ადგილს.

ახალგაზრდა ფორვარდი არაჩვეულებრივი აზარტით, ნამდვილი შთაგონებით თამაშობდა. მეორე ტაიმის უკვე მეორე წუთზე მისი გარღვევა აკრძალული ილეთით შეაჩერეს საჯარიმო მოედანში და მ. ბერძენიშვილმა ოსტატური პენალტით შეამცირა სხვაობა ანგარიშში. შემდგომ, ზედიზედ ორჯერ, ასლანი წამით ასწრებდა მოსკოველთა მცველებს და მისი დარტყმების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა, ხოლო 5 წუთით ადრე თამაშის დამთავრებამდე, ჩვენმა შეუდარებელმა გარემარბმა გაიოზ ჯეჯელავამ წერტილი დაუსვა ამ დაუვიწყარ მატჩს – 5-4!

მოსკოველთა კაპიტანი სახელგანთქმული გ. ფედოტოვი, ბოღმამორეული, საყვედურობდა თავის მცველებს: ეს ბიჭი (ხარბედიაზე) როგორ ვერ შეაკავეთო?

თავისი პირველი საფეხბურთო სეზონი 19 წლის ხარბედიამ შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა. მონაწილეობა მიიღო 23 თამაშში (26-დან) და 12 ბურთი გაიტანა. იმ წელიწადს საკავშირო ჩემპიონატში დაწესებული რომ ყოფილიყო საუკეთესო დებიუტანტის პრიზი, მას უთუოდ ა. ხარბედიას მიანიჭებდნენ.

ბ-ნ ასლანის სპორტული კარიერის მეორე მწვერვალი იყო 1946 წლის პირველობა, როდესაც ჩვენ კვლავ ვიხილეთ ძველი „დინამო“ თავისი ელვარე მშვენიერებით. დაუვიწყარია მატჩი მაშინ დიდების მწვერვალზე მყოფ მოსკოვის „დინამოსთან“. დაიწყო თუ არა შეხვედრა, ბ. პაიჭაძემ ცენტრიდან წამოიღო ბურთი და გაიტანა ინგლისში „ვეფხვად“ შერაცხულ ა. ხომიჩის კარში. ერთი წუთის შემდეგ გ. ანთაძემ ანგარიში გახადა 2-0. შემდგომ ინიციატივას მოსკოველები დაეუფლნენ და ვ. კარცევმა ერთი ბურთი გაქვითა.

ორმხრივი იერიშებით აღინიშნა მეორე ტაიმი. გამარჯვების განმტკიცებისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი გოლი და ეს შეძლო კიდეც ხარბედიამ 27-ე წუთზე. ბ. პაიჭაძის ფანტასტიკური სოლო რეიდისა და დარტყმის შემდეგ ხომიჩს ხელიდან გაუვარდა ბურთი, რომელთანაც ელვისებურად მიიჭრა ხარბედია. 3-1! რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე, ენით აუწერელია!

საბედნიეროდ, ეს მომენტი აღბეჭდილია კინოფირზე და შთამომავლობას მუდამ ექნება საშუალება დარწმუნდეს როგორც ბ. პაიჭაძის სწორუპოვარ ოსტატობაში, ისე მისი ღირსეული პარტნიორის – ასლან ხარბედიას საფეხბურთო ალღოსა და „რეაქტიულობაში“. მსგავსი გოლი ასლანმა გაიტანა მომდევნო თამაშშიც ლენინგრადის „დინამოსთან“. მ. ბერძენიშვილმა შორეული უძლიერესი დარტყმით გაგზავნა კარში ბურთი, რომელიც ცნობილმა მეკარემ ვ. ნაბუტოვმა უკუაგდო. ხარბედიამ მიუსწრო მას და ბადეში მოათავსა. კიდევ ერთი ბურთი მან გაიტანა ლენინგრადში „ზენიტთან“ შეხვედრაში (3-0), შემდგომ კი ტრავმამ დიდი ხნით გამოიყვანა იგი მწყობრიდან.

შემოდგომაზე (1 ოქტომბერს) ხარბედიამ მონაწილეობა მიიღო ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში „ტორპედოსთან“ მოსკოვში, სადაც თბილისელებს, როგორც ცნობილია, ძალით წააგებინეს და წაართვეს მე-2 ადგილი. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში იყო 3-0 მოსკოველთა სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენებმა მოახერხეს სამივე ბურთის გაქვითვა (აქედან მეორე ბურთი ხარბედიამ გაიტანა). დრო ამოიწურა, მაგრამ მოსკოველმა (!) მსაჯმა ნ. ლატიშევმა (მკვდარზე ცუდის თქმა არ ვარგა) არ დაამთავრა თამაში და 94-ე წუთზე ჩათვალა თბილისელთა კარში ოფსაიტიდან გატანილი გოლი.

ეს თამაში უკანასკნელი აღმოჩნდა ასლან ხარბედიასთვის.

ტრავმებმა აიძულა ასლანი 26 წლის ასაკში დაეტოვებინა მინდორი. მაგრამ ჩვენს საფეხბურთო მატიანეში სამუდამოდ დარჩა ნიჭიერი და უაღრესად კორექტული მოთამაშე – ასლან ხარბედია.

ბულბათ ტორაძე

თანამეგობრობის თასი რუსეთის დედაქალაქში

...კიეველი დინამოელები მეორე შემადგენლობით ესტუმრნენ მოსკოვს, თბილისელი დინამოელები ტაჯიკებმა დაგვიჯაბნეს. საბჭოთა ფეხბურთს კი ძირითადად სამი სკოლა განაპირობებდა და თუ რაიმე ლაზათი შერჩა თანამეგობრების თასის გათამაშებისას, ეს მოსკოვის „სპარტაკია". წითელ-თეთრები ტურნირის ფინალში იოჰან ბოსკამპის „დინამოს" ევროტურნირებიდან ჩამომწერ კიშინიოვის „ზიმბრუს" შეხვდნენ და არხეინი ბურთაობით სამი უპასუხო გოლიც მიართვეს მოლდოვას ჩემპიონს.

მიშო სმაილოვიჩის იმედით

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა მიშო სმაილოვიჩი, რომელმაც ფარუკ ჰაჯიბეგიჩი შეცვალა. ახალ ხელმძღვანელს, ადრე სარაევოს „ჟელეზნიჩარში" მუშაობდა, კონკრეტული ამოცანა დაუსახეს, ნაკრებ: მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისათვის მოამზად:

საუკეთესონი სომხეთში

სომხეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია ერევნის „არარატის" მეკარე არუთინ აბრამიანი. მეორე ადგილი მიეკუთვნა ერევნის „ცემენტის" მცველ რონიკ ხაჩატრიანს, მესამე — გიუმრის „შირაკის" ნახევარმცველ . არტურ პეტროსიანს.

სლოვენიის ნაკრების მიღწევები

როგორც ყოველთვის, ნებისმიერი წლის დამთავრებისას ნაკრებების რეიტინგი იცვლება. რაც სლოვენიის ნაკრებს მოუვიდა, მართლაც იშვიათია. მან თავისი რეიტინგი მეტისმეტად მკვეთრად გაიუმჯობესა, 48 ქულა მოემატა, ევროპის 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა და ზაფხულში, ისტორიაში პირველად კონტინენტის პირველობაზე ითამაშებს. ამასთან, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მისი მდგომარეობა . არც ამ უძლიერესი შემადგენლობის ტურნირში იქნება უიმედო.

დიახ, მანჩინი ფეხბურთს ეთხოვება

გამოჩენილმა იტალიელმა თავდამსხმელმა რობერტ მანჩინიმ განაცხადა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ასრულებს ფეხბურთელის კარიერას და მწვრთნელი ხდება.

— ჩემი სამწვრთნელო დებიუტი, ეტყობა, „ლაციოში" შედგება, შესაძლოა სხვაგანაც, ამას მოგვიანებით გადავწყვეტ. ყველაზე ძალიან მაინც მინდა ეს ახალი კარიერა სვენ-გორან ერიქსონის ასისტენტად დავიწყო. 35 წლის მანჩინიმ 80-იანი წლების დასაწყისიდან გაითქვა სახელი გენუის „სამპდორიის" შემადგენლობაში. მისი დუეტი ჯანლუკა ვიალისთან ლიგის მშვენება იყო. ამ „საშინელი ტყუპების" წყალობით „სამპდორია" 1991 წელს იტალიის ჩემპიონი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი თასების თასის მფლობელი. 1997 წელს უკვე საკმაოდ ასაკოვანი მანჩინი „ლაციოში" გადავიდა, რომაელ გულშემატკივრებს შეაყვარა თავი. ტიფოზები აღტაცებაში მოჰყავდა მანჩინის ვირტუოზულ თამაშს ქუსლით.

აი მანჩინის კარიერის ძირითადი ეტაპები:

1964 წლის 27 ნოემბერს მანჩინი დაიბადა პატარა ქალაქ ჯეზიში. 1978 წელს ჩაირიცხა „ბოლონიაში". 1981 წლის 13 ნოემბერს პირველად ითამაშა „სერია A-ში". „ბოლონიას" შემადგენლობაში, „კალიარის" შემადგენლობაში და გაიტანა გოლი (1-1). 1982 წელს „სამპდორია'ში" გადავიდა. 1984 წელს დებიუტი ჰქონდა იტალიის ნაკრებში, შემოვიდა შეცვლაზე (2-0 კანადის ნაკრებთან), 1990 წელს „სამპდორიის" შემადგენლობაში დაეუფლა თასების მფლობელთა თასს (2-0 „ანდერლეჰტთან"). 1991 წელს „სამპდორია" ჩემპიონი გახდა, მანჩინიმ 12 ბურთი გაიტანა. 1992 წელს „სამპდორია" გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში, დამატებით დროში წააგო „ბარსელონასთან" — 0-1. 1994 წელს უკანასკნელი მატჩი ითამაშა იტალიის ნაკრებში გერმანიის წინააღმდეგ. 1997 წელს „სამპდორია-ში" გატარებული 15 სეზონის შემდეგ გადავიდა „ლაციოში". რითაც პირდაპირ განაცვიფრა გენუელი ტიფოზები 1999 წელს უკვე „ლაციოს" შემადგენლობაში მეორედ დაეუფლა თასების მფლობელთა თასს (2-1 „მალიორკასთან").

Faison
mieux

შორია გზა სოფლამდე?

ქველმოქმედება

ლორან ბლანი მარსელის სტადიონზე (საფრანგეთი-98 წილისყრის დროს) Sos Children's Villages-ის ბავშვებთან.

საქველმოქმედო საქმიანობა საფეხბურთო სამყაროსთვის უცხო არ არის, თუმცა ასეთ ამბებს იშვიათად თუ გაიგონებს კაცი და ალბათ კანონზომიერიცაა რომელიმე შეძლებულმა კლუბმა თუ ვარსკვლავმა ერთი-ორჯერ გაჭირვებულთათვის გასცეს გასაცემი. ფიფა კი ამ საკითხს დელიკატურად მიუდგა და შეიქმნა პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაცია Sos Children's Villages-ისა. ჩვენებურად ეს დაწესებულება დაახლოებით ასე ითარგმნება: ბავშვთა სამაშველო სოფლები (თუმცა სჯობს ინგლისური ვარიანტით ვიხელმძღვანელოთ). Sos Children's Villages არასამთავრობო, კერძო ორგანიზაციაა და მისი ისტორია უკვე საუკუნის ნახევარს ითვლის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიაში, ერთმა შეძლებულმა და ღვთისნიერმა კაცმა, ვინმე ჰერმან გმეინერმა ფაშიზმისა და საბჭოთა „განმათავისუფლებელთა" მიერ ბავშვობადაკარგული მოზარდების დახმარება განიზრახა. თანამზრახველ მეგობართა დახმარებით მან 1949 წელს შექმნა ეს ორგანიზაცია. ბავშვთა მდგომარეობით გულდათუთქულ ავსტრიელთა ამ ქმედებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა არგაწითლებულ ევროპაში. მომდევნო 1950 წელს ბავშვთა სამაშველო სოფლები შეიქმნა გფრ-ში, საფრანგეთსა და იტალიაში. 60-იან წლებში ჰუმანურობის, სოლიდარობისა და ტოლერანტულობის იდეამ აზიასა და ლათინურ ამერიკაში შეაღწია, 70-იან წლებში კი აფრიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში, 80-იანში კი ავსტრალიისა და დანარჩენ ოკეანეთში. დღესდღეობით Sos Children's Villages ფუნქციონირებს 131 ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც. Sos Children's Villages დახმარებას სთავაზობს ბავშვებს, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები ან არ შეუძლიათ მათთან ცხოვრება და, ასეთ ბავშვებს აძლევს შანსს ახალი სახლის, ახალი ოჯახის შეძენისას.

სერ ბობი ჩარლტონი ქაიროს ბავშვთა სოფლის სტუმრობისას.

ფიფასა და ამ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობას საფუძველი ჟოაო ავილანჟის პრეზიდენტობისას ჩაეყარა. 1994 წელს დოქტორ ავილანჟის ინიციატივითა და დიდის შემწეობით შეიქმნა ფიფას ახალგაზრდობის ფონდი, რომლის დაარსებისთანავე გამოცხადდა, რომ ფონდის მთავარი პრიორიტეტი Sos Children's Villages-ის დახმარება იქნებოდა. პირველ ეტაპზე ფიფამ რამდენიმე ბავშვთა სოფელს საჩუქრად გადასცა სპორტული აღჭურვილობა. 1995 წლის დეკემბერში პარიზში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის (საფრანგეთი-98-ის) შესარჩევი ციკლის წილისყრა და იქვე ჟოაო ავილანჟსა და Sos Children's Villages პრეზიდენტ ჰელმუტ კუტინის ხელმოწერებით ოფიციალურად გაფორმდა ამხანაგობა — „Fifa for sos Children's Villages". ამ პოზიტიურ თანამშრომლობას ფიფას ახლანდელი პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც კვერს უკრავს: „ეს პარტნიორობა ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ფეხბურთის პასუხისმგებლობას სოციალური ასპექტის მიმართ. Sos Children's Villages მშვენიერი პარტნიორია და ჩვენი ამხანაგობა ფიფას ერთ-ერთი ყველაზე ფასეული სამუშაოა".

დღესდღეობით ფიფას ურთიერთობა Sos Children's Villages-თან მეტად მრავალფეროვანია. საზოგადოებისთვის ყველაზე თვალშისაცემი და ნორჩებისთვის დიდი სიხარულის მომგვრელია ცნობილი ოსტატების ვიზიტები ბავშვთა სოფლებში. ფიფამ ამ ამხანაგობის ელჩის სტატუსიც შემოიღო სახელგანთქმული ფეხბურთელებისთვის. „Fifa for sos Children's Villages" გზავნილები არიან: კრასიმერ ბალაკოვი (ბულგარეთი), ლუკას რადებე (სამხ. აფრიკა), ნელსონ ტაპია რიოსი (ჩილე), ზვონიმირ ბობანი (ხორვატია), ლორან ბლანი, რობერტ პირესი (საფრანგეთი), ფერენც პუშკაში (უნგრეთი), ჟორჟ ვეა (ლიბერია), ჰანს ვან ბროკელენი (ჰოლანდია), ალექს ლალასი (აშშ), მიჩელი (ესპანეთი), ტომას ჰესლერი, იურგენ კლინსმანი (გერმანია), კრისტიან ვიერი (იტალია)... აი, ასეთი შთამბეჭდავი გახლავთ ელჩთა სია, თუმცა არაელჩი ვარსკვლავებიც მონაწილეობენ ამ პროექტში, ბევრ სახელოვან ოსტატს ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაულახავს რომელიმე დაბეჩავებულ ქვეყანაში ბავშვთა სოფლების ბინადართა მოსანახულებლად და გასამხიარულებლად.

უხერხულია ვინმეს მოუწოდო ასეთი საქმეებისთვის, მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ყბედობა რომ არ გამოგვივიდეს, ალბათ, ეგების ჩვენში არსებული ბავშვთა სოფლის ნორჩებსაც ვუსურვოთ უცხოელი თუ არა, ქართველი ვარსკვლავების სტუმრობა მაინც, ბავშვობის გალამაზება სახელოვან ფეხბურთელთა სითბოთი. აბა წარმოიდგინეთ, რა თავზარდაცემულად გასახარი იქნება თუნდაც ჩვენი ფლაგმანი გუნდის ვიზიტი მშობლების მზრუნველობამოკლებული, ფეხბურთზე შეყვარებული პატარებისთვის.

გაბრიელ ბატისტუტამ „მაკდონალდსისგან" კუთვნილი 25 ათასი დოლარი (საფრანგეთი-98-ზე ჰეთ-თრიკისთვის) ბავშვთა სოფელს გადაურიცხა.

დევენპორტი და აგასი

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში

ავსტრალიის ახლანდელი ღია ჩემპიონატი იმით იყო საყურადღებო, რომ რაიმე დიდი სენსაცია არ მომხდარა. ფავორიტებმა დამაჯერებლად გაიკაფეს გზა შეჯიბრების დასკვნითი ნაწილისაკენ.

ქალთა ტურნირში მაინც იყო რამდენიმე შედარებითი მოულოდნელობა. ეს გახლდათ №4 ჩოგბურთელ სერენა უილიამსის მარცხი რუს ელენა ლიხოვცევასთან, გნებავთ ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის გასვლა ნახევარფინალში, სადაც არც კონჩიტა მარტინესს (ესპანეთი) მოელოდნენ.

რაც შეეხება ფინალს, აქ სწორედ თანამედროვეობის ორი უძლიერესი ჩოგბურთელი გავიდა: №1 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და №2 ოლიმპიური ჩემპიონი ლინდსეი დევენპორტი (აშშ). ვის უნდა მიკუთვნებოდა წინასწარ უპირატესობა? ზოგი ამას მაინც ჰინგისს ანიჭებდა, თუმცა ისიც იყო საყურადღებო, რომ შარშანდელი ბოლო სამი შეხვედრა დევენპორტმა ზედიზედ მოიგო და საერთო ანგარიშითაც სწორედ იგი იყო წინ: 9 მატჩი მოიგო, ჰინგისმა კი მხოლოდ 7. ახლანდელი შეხვედრის წინ ჰინგისმა ისიც თქვა, რომ ზაფხულში ნიუ-იორკში, აშშ-ს ღია პირველობაზე ძალიან უჭირდა დევენპორტის მოწოდების მოგერიება, თუმცა შემდეგ, ვარჯიშისას გაიუმჯობესა თამაშის ზოგი კომპონენტი.

თუ რა გაიუმჯობესა ჰინგისმა, ეს გაურკვეველი დარჩა, რადგან ფინალური მატჩი კვლავ დევენპორტის გამარჯვებით დასრულდა: 6:1, 7:5. აქამდე შვეიცარიელ ჩოგბურთელს სამჯერ ზედიზედ ჰქონდა მოპოვებული გამარჯვება ავსტრალიის ღია პირველობაზე, დევენპორტს კი — არც ერთხელ.

დევენპორტი

ვაჟების ერთ-ერთ ნახევარფინალში ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი) იოლად მოუგო მაგნუს ნორმანს (შვეცია), რომლისათვის პირველ ოთხეულში მოხვედრა დიდ გამარჯვებად ჩაითვალა. აი, მეორე ნახევარფინალს კი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან აქ ერთმანეთს შეხვდნენ თანამედროვეობის დიდი ჩოგბურთელები, ამერიკელები ანდრე აგასი და პიტ სამპრასი. აქამდე მათ შორის ადრე ნათამაშევ მატჩებში უპირატესობა სამპრასს ჰქონდა, რომელმაც 17 შეხვედრა მოიგო, აგასიმ კი 11.

ძველი მეტოქეების მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უდიდესი შეუპოვრობით ხასიათდებოდა. დასაწყისში უპირატესობა აგასის მხარეს იყო — 6:4, მაგრამ შემდეგ სამპრასმა ზედიზედ მოიგო ორი სეტი 6:3, 7:6. აგასის ბედი

იხ. მე-6 გვ.

აგასი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

დისკვალიფიკაციამ უშველა?

„მალიორკას“ არგენტინელ მეკარე ჰერმან ბურგოსს 11-მატჩიანი დისკვალიფიკაცია „აჰკიდეს“. მეკარე არ დაიბნა და თავისუფალ დროს მეორე გატაცებას — მუსიკას ანდომებს, თხზავს სიმღერებს ალბომისათვის.

29 წლის ბურგოსმა ჩაიფიქრა: როცა ფეხბურთს გამოეთხოვება, მოაწყოს მატჩი, რომელშიც ცნობილი ფეხბურთელები არანაკლებ ცნობილ საესტრადო მომღერლებს დაუპირისპირდებიან (მოწვეულთა შორის არის მიკ ჯაგერიც). როცა ეს გამოსათხოვარი მატჩი დამთავრდება, თვით ჰერმან ბურგოსი იმღერებს თავის როკ-ჯგუფ „სიმპათიასთან“ ერთად.

კუჩერევსკი – საუკეთესო

დნეპრო-პეტროვსკის ფეხბურთის ფედერაციამ XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად ოლქის მასშტაბით მიიჩნია ცნობილი სპეციალისტი ევგენი კუჩერევსკი.

ეს გადაწყვეტილება რამდენადმე მოულოდნელია, რადგან 1983 წელს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ვლადიმირ ემეცისა და გენადი ჟიზდიკის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. თვით კუჩერევსკიმ 1988 წელს ეს წარმატება გაიმეორა, მომდევნო წელს კი საბჭოთა კავშირის თასსაც დაეუფლა.

ვალუტა ჩამოართვეს და გაანთავისუფლეს

მოსკოვის აეროპორტ „შერემეტიევო-2“-ზე „როტორის“ ცნობილ თავდამსხმელ ოლეგ ვერეტენიკოვს ჩამოართვეს ვალუტა, რომელიც მას განაცხადში დეკლარირებული არა ჰქონდა, შემდეგ კი ნება მისცეს გაფრენილიყო საბერძნეთში, სალონიკის „არისთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად. სალონიკში რუსმა თავდამსხმელმა ოთხთვიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

რონალდინიო – ძალიან ცდილობს

ბრაზილიელ რონალდო ასის გაუშოს რონალდინიოსაც უწოდებენ. უკვე ერთი წელიწადია იგი დიდად პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლება. უახლოეს მიზნად მომავალ ოლიმპიადაზე თამაშს მიიჩნევს. შესარჩევ ტურნირში ბრაზილიელებმა დაამარცხეს ეკვადორელები — 2-0 და ფრედ 1-1 ითამაშეს ჩილელებთან.

ჰითცფელდი ღელავს

მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელ ოტმარ ჰითცფელდს ძალიან აღელვებს უცხოელი მოთამაშეების შეძენისას კლუბების მეტისმეტი „ხელგაშლილობა“. იგი ფიქრობს, რომ გერმანული კლუბები საზღვარგარეთელ მაგნატებთან კონკურენციას ვერ გაუძლებენ და მათი მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო გაუარესდება.

გერმანიის ფეხბურთის კავშირი კლუბების მეპატრონეებს რეკომენდაციას აძლევს არ გადაიხადონ მოთამაშეებში 20 მილიონ მარკაზე მეტი, ეს თანხა კი, ზოგიერთი იტალიური თუ ინგლისური კლუბისთვის სრულიად უმნიშვნელოა.

„კანტონა დიდი ლიდერი იყო“

დევიდ ბექჰემის აზრით, ერიკ კანტონა ყველაზე უკეთესი ფეხბურთელი იყო იმათთაგან, ვისთანაც მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ უთამაშია. „ერიკი გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო, მის „ფრთებს“ ქვეშ იზრდებოდნენ და ოსტატდებოდნენ ახალგაზრდები. რა სამწუხაროა, რომ კანტონამ ასე მალე დატოვა ფეხბურთი“.

პელესა და მარადონას დონემდე ახალმა თაობამ ჯერ ვერ მიაღწია

სამხრეთამერიკელი სპორტული ჟურნალისტები ნაკლებად ითვალისწინებენ სხვადასხვა ევროპული გამოკითხვის შედეგებს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ მათ მიერ შედგენილ სამხრეთ ამერიკის ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებს.

ჩილავერტი (პარაგვაი), პასარელა (არგენტინა), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), ფიგეროა (ჩილე), პერფიუმო (არგენტინა), ზიკო (ბრაზილია), მარადონა (არგენტინა), ფრანჩესკოლი (ურუგვაი), გარინჩა, პელე, რომარიო (სამივე- ბრაზილია).

როგორც ვხედავთ, ამ სიაში ვერც რივალდო მოხვდა და ვერც რონალდო, ნაკრებშია მხოლოდ ორად ორი მოქმედი ფეხბურთელი: მეკარე ჩილავერტი და ვეტერანი თავდამსხმელი რომარიო.

შეიძლება ბევრი არ დაეთანხმოს ამ ნაკრების შემდგენლებს და თავისი სია წარმოადგინოს.

რომარიოს მე-700 გოლი

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის გმირმა რომარიომ ოფიციალურ თამაშებში მე-700 გოლი გაიტანა.

ბრაზილიელმა თავისი იუბილე „ვასკო და გამასა“ და „პალმეირასის“ მატჩში აღნიშნა — 3-3. მე-700 გოლი რომარიომ მე-20 წუთზე გაიტანა ჟილბერტოს გადაცემის შემდეგ. ამ შესანიშნავ მიღწევამდე ბრწყინვალე თავდამსხმელს გოლები გაჰქონდა ბრაზილიურ კლუბებში; ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენში“, „ბარსელონაში“, ახლა კი „ვასკო და გამაში“ გამოდის. საინტერესოა, რომ 33 წლის თავდამსხმელს პრეტენზია აქვს ბრაზილიის ოლიმპიურ და ეროვნულ ნაკრებებში თამაშზე და, ვინ იცის, შეიძლება მე-1000 გოლის გატანასაც აპირებს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

გადატანილი გულის ოპერაციის შემდეგ კანუ ხალხის წინაშე პირველად ლაგოსის სტადიონზე წარსდგა. პიჯაკსა და კეპში გამოწყობილ ძვალსა და ტყავს ხუნტის ჯარისკაცებთან ერთად არასამხედრო თანამემამულეებიც შეეგებნენ.

ძვალი და ტყავი

ზეცას ფავორიტები ნაღდად არ ჰყავს და ღვთის ნება ნვანკვო კანუსათვის ამერიკელი კარდიოქირურგების ხელებით აღსრულდა. ლამის საიქიოდან გამობრუნებულ კაცს კი ბურთაობის უფრო მეტი ჟინი უნდა ჰქონდეს და ასეც არის – 23 წლის ნვანკვოს, არც მეტი, არც ნაკლები, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელობა სურს. სასაცილო ამაში არაფერია, სასაცილო სულ სხვაა – ნვანკვო კანუ ფეხბურთელს არ ჰგავს. მისი, გრძივად 197 სანტიმეტრიანი აღნაგობა გრძელი მტევნებითა და კანჭა ფეხებით თუ გამოსჭვივის და ტერფების მოძრაობაში მოყვანა მართლაც დელიკატურ კონტროლს საჭიროებს. ყოველივე ამაში თავისი, არც თუ ისე მოკრძალებული სიტყვა ფენი ამუნსაც უთქვამს, – მწვრთნელს, რომელმაც თინეიჯერი კანუ 1993 წელს 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა იაპონიაში და თიკუნიც უბოძა: „ძვალი და ტყავი“. ახლაც, როცა კანუ ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოთამაშეა, ოხუნჯი ფანები გულიანად ლადაობენ მის ჰაეროვან, არხეინ და მოუხეშავ სირბილზე.

... მაგრამ მოდით გავიბრძოლოთ დასაწყისით. კანუ დაიბადა ოვერიში (1976 წლის 1 აგვისტო), ნიგერიის შტატ იმოს დედაქალაქში, რომელსაც ძლიერი საფეხბურთო ტრადიციები აქვს. როგორც ყველა აფრიკელი ვარსკვლავის, – ვეა, მილა, აბედი პელე, ასევე ნვანკვოს ოჯახიც არსებობისთვის წელზე ფეხს იდგამდა და კანუმ თავისი ხელობა ქუჩაში შეისწავლა. მამამისი კარგა ხანს წინააღმდეგი იყო მისი ფეხბურთით გატაცების გამო, მხოლოდ მაშინ მოლბა, როცა მიხვდა, რომ ეს სიღარიბიდან თავის დაღწევის საშუალება იყო. ალბათ არც ის გაგიკვირდებათ, რომ ნორჩმა კანუმ წიგნებსა და სკოლაში სიარულს ქუჩაში ბურთის დევნა ამჯობინა.

JVC
25
OAKES
13

ნვანკვო 16 წლისაც არ იყო, როცა პირველად დაიმსახურა გულშემატკივართა აღფრთოვანება. ის ოვერის „ივუანიანვო ნაციონალეში“ ნიგერიის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში შეცვლაზე გამოვიდა და ბურთთან მისი პირველივე შეხებას მაყურებელთა გადარევა მოჰყვა. ბიჭუნას ოსტატობა ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ მატჩის შემდეგ მყისვე მიიწვიეს ქვეყნის ოცწლამდელთა ნაკრებში. მაგრამ მანამდე ფენი ამუნმა აიყვანა ის 17-წლამდელთა ნაკრებში იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატამდე (1993 წ.) ჭაბუკ ნიგერიელებს ჯერ ალჟირელი თანატოლები უნდა დაემარცხებინათ იაპონიის საგზურის მოსაპოვებლად. საამისოდ ნიგერიის ჰოლანდიელმა ტექნიკურმა დირექტორმა და მრჩეველმა კლემენს ვესტერჰოფმა გუნდს ჰოლანდიაში ტურნე გაუხერხა, რათა ალჟირთან მატჩისთვის კარგად მომზადებულიყო. ამას ასე დაწვრილებით იმიტომ გიამბობთ, რომ სწორედ იმ ტურნეში დაადგა თვალი „აიაქსმა“ აყლაყუდა ძვალსა და ტყავს.

იაპონიაში კანუმ გაიბრწყინა, ისევე როგორც მთლიანად ნიგერიის 17-წლამდელთა ნაკრებმა, რომელმაც აფრიკულ ფინალში განას სძლია. ნვანკვო კი 1993 წლის მიწურულისთვის ამსტერდამში გადაბარგდა – „აიაქსმა“ კანუში 250 000 დოლარი გადაიხადა, რაც ნიგერიისთვის რეკორდული ტრანსფერი იყო იმ დროს. ნვანკვოს ბედმა გაუღიმა იმ მხრივაც, რომ მაშინ „აიაქსის“ მწვრთნელ ლუის ვან გაალის ახალგაზრდულმა პოლიტიკამ ზენიტს მიაღწია. 17 წლის ნიგერიელი მალე შეეგუა იქაურ კლიმატს, სამწვრთნელო მეთოდებს და ენობრივი ბარიერიც მოკლე დროში დასძლია. კანუს დებიუტი „აიაქსში“ კი 1994 წლის 20 თებერვალს შედგა „უტრეხტის“ წინააღმდეგ. დაახლოებით ორწელიწადნახევარში ნვანკვო სამჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი (1994, 1995, 1996), ორჯერ თასის მფლობელი (1995, 1996), ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული (1995) და ევროპის სუპერთასის მფლობელი (1995). 1996 წელი კი ძვალი და ტყავისთვის ერთობ გადატვირთული, აღმადაღმად დახუნძლული აღმოჩნდა არაერთგვაროვანი ამბებით. კანუმ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე უკაპიტნა ნიგერიას. „სუპერარწივებს“ ჰოლანდიელ ჯო ბონფერე თავკაცობდა და გუნდი სწრაფ, სადა და ამავე დროს დისციპლინურ თამაშს აჩვენებდა. უნგრეთის, იაპონიის და მექსიკის შემდეგ ნიგერიელები ბობოლებს მისდგნენ – ნახევარფინალში ბრაზილიას სძლიეს, ხოლო ფინალში არგენტინას (კანუმ ტურნირში სამი გოლი გაიტანა). ოლიმპიადამდე კი გაფორმდა ნვანკვოს ტრანსფერი მილანის „ინტერში“ (1,3 მილიონი დოლარი) და სწორედ ოლიმპიადის გამო კანუს არ გაუვლია სავალდებულო სამედიცინო შემოწმება „ინტერში“. როცა ეს მოხდა, კანუს გულის აორტის სარქველის დისფუნქცია დაუდგინეს. „ინტერის“ ხელმძღვანელობა თავზარდაცემული იყო და „აიაქსისგან“ სატრანსფერო თანხის დაბრუნებას მოითხოვდა, აქაოდა, ხეიბარი შემოგვაჩეჩეთო. კანუმ კი სავალალო დიაგნოზზე შემდეგი განაცხადა: „ძნელია გაიგო თუ რატომ მოხდა ასე, ჩემი პირველი რეაქცია ის იყო, რომ ძალიან გავოცდი: მე ხომ არაფერი მაწუხებდა და თავს მშვენივრად ვგრძნობდი. არ დავნებდები. არ ვიცი რა მელის მომავალში და არც არავინ იცის ეს, მაგრამ თუ გინდა რომ გავლენა იქონიო შენს მომავალზე, უნდა იბრძოლო იმისთვის, რისიც გჯერა. მზად ვარ მთელი მსოფლიო შემოვიარო, რათა კვლავ დავუბრუნდე მინდორს“.

1996 წლის ნოემბერში კანუს ოპერაცია გაუკეთეს აშშ-ში, კლივლენდის სამედიცინო ცენტრში. ამერიკელი ქირურგები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, რადგან პაციენტისთვის მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნება არ კმაროდა – ისინი კანუს ფეხბურთში დაბრუნებისთვისაც უნდა გარჯილიყვნენ და ასეც მოხდა. ხოლო, როცა კანუ საოპერაციო მაგიდიდან წამოდგა, კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი შეიტყო – ის აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „როცა ღმერთის გჯერა, ყველა შენი პრობლემა გადაიჭრება. ვიცოდი რომ უნდა მებრძოლა და ასეც მოვიქეცი. მქონდა იმედი, მაგრამ იძულებული ვიყავი ვყოფილიყავი ძლიერი“ – ამბობდა ნვანკვო.

1997 წლის აპრილის ბოლოს კლივლენდელმა ექიმებმა კანუს დართეს ნება აქტიურ სპორტს დაბრუნებოდა. მაგრამ მისი სრული რეანიმაცია მილანის „ინტერში“ ვერ შედგა. გუნდის მწვრთნელი როი ჰოჯსონი შეცვალა ლუიჯი სიმონიმ, რომელსაც კანუზე დიდი გათვლები არ ჰქონია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო რონალდოს ფაქტორი და კანუც თავის ადგილს „ინტერში“ ვერ იმკვიდრებდა, მაგრამ ძვალსა და ტყავს პროტექტორი გამოუჩნდა – ის არსენ ვენგერი გახლდათ, რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კიდევ ერთი აფრიკელის, ჟორჟ ვეას წარმატებულ კარიერაში. ფრანგი მწვრთნელის დიდის მეცადინეობით ლონდონის „არსენალმა“ 1999 წლის იანვარში იახლა აყლაყუდა ფორვარდი. კანუს გვერდში ამოუდგნენ „არსენალში“ მოთამაშე ყოფილი აიაქსელები: მარკ ოვერმარსი და დენის ბერგკამპი. კანუ ყოველთვის გრძნობდა არსენ ვენგერის დიდ ნდობასაც. მისი პირველი გამოსვლები პრემიერლიგაში შთამბეჭდავი არ იყო. მაგრამ უფერული სტარტის შემდეგ კანუმ მეტად მნიშვნელოვან მატჩებში გარდამტეხი გოლების გატანა დაიწყო და „არსენალის“ არსენ ვენგერით წაქეზებულმა რისკმა გაამართლა. სწორედ პრემიერლიგაში წარმატებული თამაშის გამო ნვანკვო კანუ შარშან მეორედ დაასახელეს აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

ახლა კი ძვალი და ტყავი კონსტანტაციას უკეთებს თავის ამბიციებს. მას სურს ის, რაც ყოველთვის სურდა – იყოს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. რატომაც არა! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჭირ-ვარამ გამოვლილი კანუ ჯერ მხოლოდ 23 წლისაა.

ემანუელ მარადასი
("African Soccer")

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

გაზეთი „As“-ის ანკეტით

მადრიდის გაზეთმა „As“-მა მიმართა ესპანეთის პირველი დივიზიონის კლუბების მწვრთნელებს შეეფასებინათ ქვეყნის პირველობის პირველი წრე. თხოვნას ყველა გამოეხმაურა, „ბარსელონას“ მწვრთნელ ლუის ვან გაალის გარდა.

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ საუკეთესოები 5 ნომინაციით და აღენიშნათ ვინ მიაჩნიათ ჩემპიონობის უპირველეს პრეტენდენტებად. 19 მწვრთნელთაგან უმეტესობა ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტებად თვლის „ბარსელონას“, „ლა-კორუნიას“, „სარაგოსას“ და „სელტას“, თუმცა შვიდმა მადრიდის „რეალიც“ დაასახელა.

ჩემპიონატის მონაწილე საუკეთესო ესპანელ ფეხბურთელად მიიჩნიეს რაული, რომელმაც ოდნავ გაასწრო ლუის ენრიკეს, უძლიერეს უცხოელად — რივალდო. „გუნდი — აღმოჩენაა“, „რაიო ვალეკანო“ (10 ხმა) და „ნუმანსია“ (6 ხმა). ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ჩათვალეს „მალიორკის“ თავდამსხმელი დიეგო ტრისტანი.

გადასვლები, გადასვლები...

- *ცნობილმა ლიტველმა ფეხბურთელმა, ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ედგარას იანკაუსკასმა ესპანურ „რეალ სოსიედადთან“ ხელი მოაწერა კონტრაქტს.*
- *გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მცველმა მარკუს ბაბელმა ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ინგლისის „ლივერპულთან“, სადაც იგი სეზონის დამთავრების შემდეგ გადავა.*
- *როგორც ლევერკუზენის „ბაერის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონმა განაცხადა, სეზონის დამთავრების შემდეგ იგი იტალიაში გადავა. ახლა ემერსონის შეძენა „რომას“, „მილანსა“ და „პარმას“ სურს.*
- *ცნობილი თავდამსხმელი ალექსანდრ ბოროდიუკი, რომელიც შარშან მოსკოვის „ტორპედო-ზილში“ თამაშობდა, სამარის „კრილია სოვეტოვში“ ჩაირიცხა.*
- *მოსკოვის „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ანდრეი პიატნიცკი გამოჯანმრთელდა უმძიმესი ტრავმის შემდეგ, ამიერიდან მეორე დივიზიონის კლუბ „ნოვოსიბირსკ-ოლიმპიკში“ ითამაშებს.*
- *ახალგაზრდა ნახევარმცველი ვალერი კეჩინოვი, რომელსაც სხვადასხვა კლუბები იწვევდნენ, მოსკოვის „სპარტაკში“ რჩება. ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.*
- *ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ორ ახალ მოთამაშესთან გააფორმა ხელშეკრულება. მეკარე კაზიმირ გუდიევთან, და ნიგერიელ ელენა ენეხთან.*

კასპაროვი კვლავ პირველია

ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის დასკვნითი ტურები გარი კასპაროვის მორიგი წარმატებით აღინიშნა. თუ აქამდე მას რამდენიმე საეჭვო პოზიცია ჰქონდა, ნაიჯელ შორტთან კი აშკარად უიმედო მდგომარეობაც და მხოლოდ მეტოქის „დახმარებამ" გადაარჩინა, შემდეგ ჩემპიონი უკვე ჩვეული ძალით თამაშობდა. პრედრაგ ნიკოლიჩთან კასპაროვმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა ენდშპილში, იან ტიმანთან ლაზიერის ფრთაზე შავი პაიკების განლაგების დასუსტება. რაც შეეხება უშუალო მეტოქეებთან: პეტერ ლეკოსა და ვლადიმირ კრამნიკთან შეხვედრებს, კასპაროვმა (შავი ფიგურებით) ყაიმით დაასრულა. კრამნიკმა გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ გამოიყენა ახალი საინტერესო გეგმა, მაგრამ ჩემპიონმა პაიკის შეწირვით გაათანაბრა მდგომარეობა.

კრამნიკი ფინიშზე შეხვედრებს ყაიმით ამთავრებდა. მან იუდით პოლგარის დამარცხებაც კი ვერ შეძლო, რომელთანაც ადრინდელ პარტიებში, სტატისტიკოსების ცნობით, 12 მოგება და სულ სამი ყაიმი ჰქონდა. ამ მეოთხე ყაიმის შემდეგ კრამნიკი, ისევე, როგორც ლეკო, ლიდერს ქულით ჩამორჩა. უკანასკნელი ტურის წინ კასპაროვს პირველი ადგილისათვის ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა. ამასთან, იგი თეთრებით იუდით პოლგარს ეთამაშებოდა. საინტერესოა, რომ კასპაროვმა არ მოისურვა ბოლო ტურში „დასვენება", პოლგარიც დაამარცხა და 9,5 ქულით დაასრულა შეჯიბრება. ეს ძალიან მაღალი შედეგია — 6 მოგება, 7 ყაიმი, არც ერთი წაგება.

8-8 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ვიშვანათან ანანდმა (ბოლო ტურში პრედრაგ ნიკოლიჩი დაამარცხა), ვლადიმირ კრამნიკმა და პეტერ ლეკომ. მათ ასევე დაუმარცხებლად წარმართეს შეჯიბრება.

ტაისონი მსოფლიო ჩემპიონისაკენ მიიწევს



მაიკ ტაისონისა და ჯულიუს ფრენსისის მატჩს მანჩესტერში 21 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ორგანიზატორებმა კოლოსალური, 34 მილიონი დოლარი შემოსავალი მიიღეს. შეხვედრის ნებისმიერი შედეგით დამთავრების შემთხვევაში ტაისონისათვის 8,5 მილიონი დოლარი იყო განკუთვნილი, ფრენსისისათვის კი ამის მეათედი. საქმე ის არის, რომ ინგლისელი არ არის გამოჩენილი მოკრივე, იგი უფრო ცნობილია როგორც მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლუისის სპარინგ-პარტნიორი. ამიტომაც, ფრენსისის საკმაოდ ომახიანი განცხადებების მიუხედავად მის წარმატებას საერთოდ არავინ ელოდა.

ბრძოლამ მოლოდინი გაამართლა კიდეც. პირველ რაუნდში ფრენსისი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ გააგრძელა წინააღმდეგობა. მეორე რაუნდის დასაწყისში „რკინის მაიკმა". უძლიერესი დარტყმით კიდევ ერთხელ დასცა მეტოქე, რაც ნოკაუტად იქცა. როგორც ტაისონმა განაცხადა, ახლა გამოწვევას გაუგზავნის მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლუისს. წინასწარი ვარაუდით, ეს მატჩი შეიძლება შემოდგომაზე მოეწყოს, ამასთან, ჰონორარის სახით ასახელებენ ფანტასტიკურ თანხებს, 100 მილიონ დოლარსაც კი.

საინტერესოა, რომ ფრენსისთან მოგება იყო ტაისონის 47-ე ოფიციალური მატჩი პროფესიულ რინგზე და 44-ე გამარჯვება (41 ნოკაუტით).

მოთხილამურეს, ფეხბურთელი ურჩევნია

ლეგენდარულ სამთომოთხილამურეს ალბერტო ტომბას ქრისტეშობისდღეს ჯვარი უნდა დაეწერა მისი ოცნების ქალიშვილზე, „მის იტალიის" წოდების მფლობელ მარტინა კოლომბარზე ზამთრის კურორტ კორტინა დ'ამპეცოს თოვლიან ფერდობზე. მაგრამ პატარძალი ნამეტანი წუნია აღმოჩნდა, როცა გაიგო, რომ სასიძოს ქრონიკული წელის ტრავმა აქვს, მიატოვა იგი და უფრო ჯანმრთელ, „მილანის" საფეხბურთო გუნდის ცნობილ მცველ კოსტაკურტასთან წავიდა.

ქრისტეშობაზე ქორწინება ჩაეშალა ლონდონის „ჩელსის" რუმინელ მოთამაშეს დან პეტრესკუსაც, რომელმაც ორი წლის წინათ დაასამარა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრები, როცა საკუთარ კარში გაიტანა გოლი ბოლო წუთებზე. ამიტომ ქალიშვილმა რუმინელს (თუმცა მას ინგლისის მოქალაქეობა აქვს მიღებული) არ აპატიეს ფანებმა და სასტიკად დასაჯეს. შურისძიების იარაღი ლამაზმანი მანეკენი დილი გახლდათ, რომელიც ფეხბურთელმა ქრისტეშობის საღამოზე გაიცნო. ამ არსებამ ადვილად აუბნია გზა-კვალი მგრძნობიარე რუმინელს და ითხოვდა, რომ პეტრესკუს დაეტოვებინა ოჯახი. და როცა ფეხბურთელი მართლაც წავიდა სახლიდან, დილიმ „ხვიშტი" უჩვენა და უთხრა: „ამით გადაგიხადე იმ დიდი ტკივილისათვის, რაც შენ ინგლისელებს მიაყენე".

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერე"-ს კოლექტივი, ვეტერანი მოცურავეები, წყალბურთელები, წყალში მხტომელები და სინქრონული მოცურავეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში, მწვრთნელი

ეთერი შავდია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 1,2 II, 16.00 სთ; დაკრძალვა: 3 II, 14.00 სთ-ზე.
მისამართი: ქ. თბილისი, მიკოტაძის 13, (ყოფილი კიკნაძის).



საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი დაშნით ფარიკაობაში, სპორტის ოსტატი

გიორგი (გოგი) ზურაბიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 3, 4 II, 17 სთ; გამოსვენება 5.II 14 სთ-ზე.
მისამართი: მუხიანის დასახლება, I მიკრორაიონი, IV კორპუსი.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა სააღრიცხვო ბარათის მოსაწესრიგებლად და ახალი მოწმობის მისაღებად, გთხოვთ, მობრძანდეთ ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42. ტელ. 99-08-22, 99-94-09). თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.

დევენპორტი და აგასი

(მეოთხე გვერდიდან)

ბეწვზე ეკიდა მეოთხე სეტშიც, მაგრამ შემდეგ მაინც შეძლო მისი მოგება 7:6. ამან სამპრასი ძალზე გაამწარა და მან მეხუთე სეტში ფაქტობრივად დაყარა ფარ-ხმალი: 6:1.

მატჩის შემდეგ ჟურნალისტმა აგასის უთხრა, რომ ამ შეხვედრას მიიჩნევენ ერთ-ერთ საუკეთესოდ, რომელიც კი ოდესმე „მელბურნ-პარკზე" გათამაშებულა. აგასი სიამოვნებით დაეთანხმა ამ შეფასებას.

მაშ, ასე, ფინალში №1 და №2 ჩოგბურთელები შეხვდნენ, ამასთან დიდ უპირატესობას აგასის ანიჭებდნენ. მას 85 პროცენტი მიაკუთვნეს, კაფელნიკოვს (ავსტრალიის ღია პირველობაზე შარშანდელ გამარჯვებულს) კი მხოლოდ 15.

კვირას, ფინალური მატჩი აგასი — სამპრასის შეხვედრას კი ჩამოუვარდებოდა, მაგრამ საკმარისად მძაფრი აღმოჩნდა. კაფელნიკოვმა იგი ძალზე ენერგიულად დაიწყო, მაგრამ თანდათან უპირატესობა ამერიკელის მხარეზე გადავიდა. თუ რუსმა ჩოგბურთელმა მოიგო პირველი სეტი — 6:3, მომდევნო ბრძოლაში აგასიმ უკვე აშკარად აჯობა მეტოქეს და გაიმარჯვა სამ სეტში: 6:2, 6:4, 6:3 და მეორედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა.

ჩაწერეთ მხოლოდ ის დინამოელი ფეხბურთელები, რომლებთანაც მიხეილ მესხს უთამაშია

კროსვორდი №9



ნბა

27 იანვარი: შარლოტი — დეტროიტი 117-102; კლივლენდი — ორლანდო 102-90; დალასი — კლიპერსი 99-90; ჰიუსტონი — გოლდენ სტეიტი 110-115; სან-ანტონიო — მინესოტა 92-86; პორტლენდი — იუტა 85-75; ვანკუვერი — ნიუ-ჯერსი 105-106.

28 იანვარი: ბოსტონი — ფინიქსი 91-88; ატლანტა-ნიუ-იორკი 98-96 (დ.დ) ტორონტო — მაიამი 108-93; ჩიკაგო — საკრამენტო 90-102; დენვერი — ჰიუსტონი 104-98;ლეიკერსი — მილუოკი 117-89.

29 იანვარი: ვაშინგტონი — კლივლენდი 103-98; ორლანდო — ატლანტა 103-87; შარლოტი — ფინიქსი 100-79; დეტროიტი — ფილადელფია 90-88; ინდიანა — მაიამი 94-84; ჩიკაგო — ტორონტო 89-106, მინესოტა — იუტა 96-94; დალასი — დენვერი 107-96; კლიპერსი — ნიუ-ჯერსი 98-93; პორტლენდი — სან-ანტონიო 81-67; სიეტლი — მილუოკი 99-101.

30 იანვარი: ნიუ-იორკი — საკრამენტო 120-111; ჰიუსტონი — ლეიკერსი 89-83.

ხელბურთი ევროპის ჩემპიონატი

ნახევარფინალი: რუსეთი-საფრანგეთი 30-23, შვედეთი — ესპანეთი 23-21. **მატჩი მე-3 ადგილისათვის:** საფრანგეთი — ესპანეთი 23-24. **ფინალი:** შვედეთი — რუსეთი 32-31 (დამატებით დროში)

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



1 თებერვალი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (13.00), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 19.15), საერთაშორისო ტურნირი, ბრაზილიიდან (15.00), მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები (23.20), საფრანგეთის ჩემპიონატი: მონაკო – პარი სენ-ჟერმენი (23.40), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი, დევისის თასის მორიგი ეტაპის გათამაშების წინ (18.00), ცურვა, მსოფლიო თასი (19.55). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00), ფეხბურთი. ბოკა ხუნიორსი – რივერ პლეიტი (19.00, 23.30). ***EUROSPORT.*** მაგიდის ჩოგბურთი. ჩემპიონთა ევროპული ლიგა (13.30), ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (13.00, 20.00, 22.00), ველორბოლა. მსოფლიო პირველობა (19.00, 3.30).

2 თებერვალი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. რაგბის მოყვარულთათვის (20.00). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00, 0.45), საფრანგეთის ჩემპიონატი (17.20), სამახსოვრო შეხვედრები-99. კონფედერაციის თასის ფინალი. ბრაზილია – მექსიკა (19.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.00). ***НТВ плюс спорт.*** ცურვა, მსოფლიო თასი (11.40, 19.55), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.25, 18.25, 1.25). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 16.30, 1.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ევროგოლი (11.30), აფრიკის ეროვნებათა თასი (13.00, 20.00, 22.00), სნოუბორდი. მსოფლიო თასი (3.00).

3 თებერვალი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. ავტოსპორტი (20.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.10, 1.05), კონფედერაციის თასი, ფინალი, განმეორებით (16.30), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.50), ჰოლანდიის ჩემპიონატი (22.55). ***НТВ плюс спорт.*** ცურვა. მსოფლიო თასი (11.40), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (14.45), „მსოფლიოს საუკეთესო ათლეტები". დ. ტორპი (20.10), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (0.15). ***ESPN.*** ფეხბურთი, არგენტინიდან: ინდეპენდიენტე-რესინგ კლუბი (4.00), 19.00, 22.30). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 16.00, 17.00). კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), ყველაზე ძლიერი ადამიანი, გრან-პრი (1.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (2.30).

№8 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ბოლონია, 5. კარტოზია, 7. ტოკიო, 8. ხაბარელი, 13. აფრა, 17. არსენალი, 18. ანაგა, 20. ჯავახაძე, 21. ვიერი, 22. აკვრა, 23. ფარი, 25 ემერსონი, 28. ტალინი, 29. უუდმაიე, 30. იტო.
შვეულად: 1. ფარვა, 3. ნაკატა, 4. აკორტა, 6. ტახტი, 9. ალექსიძე, 10. ელო, 11. იფეიაგვა, 12. სიჭინავა, 14. არზიანი, 15. კარბახალი, 16. შეგირდი, 19. ბავარია, 24. რალი, 26. ილი, 27. ონო.

„ტოტო-ლოტო"

03 ტირაჟის შედეგები 30.01.2000

ლოტო 6-42

3, 8, 11, 34, 38, 40

გათამაშებაში მონაწილეობდა 7 902 ვარიანტი

6 რიცხვი	0 × 20201.90ლ.	გადადის 04 ტირაჟში
5 რიცხვი	0 × 311.40 ლ.	გადადის 04 ტირაჟში
4 რიცხვი	8 × 24.60 ლ.	
3 რიცხვი	189 × 1.60 ლ.	

სუპერ 7

9 0 1 7 1 2 1

9017121	50 000 ლარი
017121	15 000 ლარი
17121	5 000 ლარი
7121	500 ლარი
121	50 ლარი
21	3 ლარი
1	50 თეთრი

„ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

X 2 1 1 1 1 1 1 1 1 X 2

გათამაშებაში მონაწილეობდა 6894 ვარიანტი

12 შედეგი	0 × 13066.30ლ.	გადადის 04 ტირაჟში
11 შედეგი	1 × 567.30 ლ.	
10 შედეგი	7 × 81.00 ლ.	

„ტოტო-ფეხბურთი" 11 მატჩი

1 2 2 0 1 0 0 1 1 1 2

გათამაშებაში მონაწილეობდა 2826 ვარიანტი

11 შედეგი	0 × 2351.90 ლ.	გადადის 04 ტირაჟში
10 შედეგი	0 × 351.90 ლ.	გადადის 04 ტირაჟში
9 შედეგი	1 × 117.70 ლ.	

04 ტირაჟის პროგრამა 5-6 თებერვალი

„ტოტო-ფეხბურთი 12"

1. ინგ.	ბრედფორდი	-	არსენალი	20-20-60
2. ინგ.	ლესტერი	-	მიდლსბრო	50-30-20
3. ინგ.	ტოტენჰემი	-	ჩელსი	30-40-30
4. იტ.	მილანი	-	ბარი	60-20-20
5. იტ.	უდინეზე	-	იუვენტუსი	20-40-40
6. იტ.	პარმა	-	ინტერი	40-30-30
7. გერ.	ლევერკუზენი	-	დუისბურგი	70-20-10
8. გერ.	ვერდერი	-	შტუტგარტი	50-30-20
9. გერ.	ჰამბურგი	-	ბაიერნი	30-40-30
10. ესპ.	მალაგა	-	ვალიადოლიდი	50-30-20
11. ესპ.	რაიო ვალეკანო	-	სელტა	40-40-20
12. ესპ.	დეპორტივო	-	რეალი	40-30-30

„ტოტო-ფეხბურთი 11"

1. ინგ.	სანდერლენდი	-	ნიუკასლი	60-20-20
2. ინგ.	ლივერპული	-	ლიდსი	40-30-30
3. იტ.	ტორინო	-	ლაციო	20-40-40
4. იტ.	კალიარი	-	პერუჯა	30-40-30
5. გერ.	მიუნხენ 1860	-	ვოლფსბურგი	50-30-20
6. გერ.	ფრაიბურგი	-	ულმი	60-20-20
7. ესპ.	ბარსელონა	-	ალავესი	70-20-10
8. ესპ.	ოვიედო	-	ესპანიოლი	40-40-20
9. საფ.	ლიონი	-	მონაკო	30-40-30
10. ბელგ.	მეხელენი	-	ლიერსი	30-30-40
11. პორ.	[illegible]	-	[illegible]	20-40-40

04 ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გაატარეთ 4 თებერვლის ჩათვლით.

საჭადრაკო ამოცანა

ე. კვიციანი
(ქ. სოხუმი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლa3!
1. ...მფd5 2. ლe3 მფd6 3. ლd4X.
1. ..მფe4 2. ლd3+ მფf4 3. ლf3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.